# საქართველო
# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
# საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge


N 9
18/02/2020

9-06-4-202002181606

**განკარგულება N9**
17 თებერვალი 2020 წელი

**,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 115-ე მუხლისა და 118-ე მუხლის თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად.
2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

*პროექტი*

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება N----**

ქ. ოზურგეთი
2020წ-------- თებერვალი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 108-ე მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

*გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :*

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3724 კვმ (ს/კ 26.01.61.596) და 502 კვმ (ს/კ 26.01.61.597) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები გადაეცეს, უსასყიდლოდ, საკუთრებაში სახელმწიფოს, შემდგომში შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“-სთვის გადაცემის მიზნით.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**დავით დარჩია**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

# ცნობა

## ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად.

განკარგულების მიღების ვადაა არაუგვიანეს 2020 წლის 4 მარტი.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2020 წლის 24 თებერვლამდე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული. (პასუხისმგებელი პირი ნანა თავდუმაძე).